

შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ჯეომანგანუმი“

ს/კ 415591808

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

შინაარსი	გვ.
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	3
ანგარიშგება შემოსავლებისა და მოგება-ზარალის შესახებ	4
ანგარიშგება კაპიტალის ცვლილების შესახებ	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)				
აქტივები	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	336541	776694	753789
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	42066	103979	468102
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	57599	225	3196
მარაგები				
მზა პროდუქცია				
სხვა	4	712053	910146	379848
სხვა მოკლევადიანი აქტივები				
სულ მოკლევადიანი აქტივები		1148259	1791044	1604935
გრძელვადიანი აქტივები				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	177190	177190	177190
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები		177190	177190	177190
სულ აქტივები		1325449	1968234	1782125
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	6		197361	53251
სავაჭრო ვალდებულებები	7	16390	37572	13662
ანარიცხები	8	107275		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები		16762	19544	69749
მოკლევადიანი წასესხები სახსრები				
სხვა ვალდებულებები	9	17962	8190	35118
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		158389	262667	171780
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი წასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
სულ ვალდებულებები		158389	262667	171780
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1167060	1705567	1610345
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი		1167060	1705567	1610345
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1325449	1968234	1782125

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 20 ნოემბერს

შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808

დირექტორი ს. ხითარიშვილი



შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
 ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)				
აქტივები	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	336541	776694	753789
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	42066	103979	468102
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	57599	225	3196
მარაგები				
მზა პროდუქცია				
სხვა	4	712053	910146	379848
სხვა მოკლევადიანი აქტივები				
სულ მოკლევადიანი აქტივები		1148259	1791044	1604935
გრძელვადიანი აქტივები				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	177190	177190	177190
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები		177190	177190	177190
სულ აქტივები		1325449	1968234	1782125
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	6		197361	53251
სავაჭრო ვალდებულებები	7	16390	37572	13662
ანარიცხები	8	107275		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები		16762	19544	69749
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
სხვა ვალდებულებები	9	17962	8190	35118
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		158389	262667	171780
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
სულ ვალდებულებები		158389	262667	171780
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1167060	1705567	1610345
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი		1167060	1705567	1610345
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1325449	1968234	1782125

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 20 ნოემბერს
 შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
 დირექტორი ს. ხითარიშვილი

შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)				
	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები		2993703	2309888	7540248
საქონლის გაყიდვიდან				
ამონაგები რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან)	1	2962325	2269245	7527163
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან				
სხვა	1	31378	40643	13085
გაყიდვების თვითღირებულება	2	(1980411)	(1126573)	-2419616
საერთო მოგება		1013292	1183315	5120632
სხვა საოპერაციო შემოსავალი				
დასაქმებულთა ანაზღაურება				
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი				
საპროცენტო შემოსავალი				
საპროცენტო ხარჯი				(1583)
იჯარის ხარჯი				
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3	(109583)	(95685)	(141725)
სულ საოპერაციო ხარჯები		903709	1087630	4977324
საოპერაციო მოგება				
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:				
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა				
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა				
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა				
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით				
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	4	3266	66740	86328
მიღებული დივიდენდები				
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	5	(113904)	(79481)	(69735)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე				
განგრძობითი ოპერაციებიდან		793071	1074889	4993917
მოგების გადასახადის ხარჯი		(128684)	(146950)	-601745
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		664387	927939	4392172
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური				
აქტივების) გადაფასების რეზერვი				
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:				
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)				
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1705568	1610345	628063
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(1202895)	(832716)	(3409890)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
კაპიტალის სხვა ცვლილებები				
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1167060	1705568	1610345

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 20 ნოემბერს
შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
დირექტორი ს. ხითარიშვილი



შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
 ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)				
	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები		2993703	2309888	7540248
საქონლის გაყიდვიდან				
ამონაგები რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან)	1	2962325	2269245	7527163
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან				
სხვა	1	31378	40643	13085
გაყიდვების თვითღირებულება	2	(1980411)	(1126573)	-2419616
საერთო მოგება		1013292	1183315	5120632
სხვა საოპერაციო შემოსავალი				
დასაქმებულთა ანაზღაურება				
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი				
საპროცენტო შემოსავალი				
საპროცენტო ხარჯი				(1583)
ოჯარის ხარჯი				
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3	(109583)	(95685)	(141725)
სულ საოპერაციო ხარჯები		903709	1087630	4977324
საოპერაციო მოგება				
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:				
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა				
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა				
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა				
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	4	3266	66740	86328
მიღებული დივიდენდები				
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	5	(113904)	(79481)	(69735)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		793071	1074889	4993917
მოგების გადასახადის ხარჯი		(128684)	(146950)	-601745
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		664387	927939	4392172
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი				
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:				
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)				
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1705568	1610345	628063
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(1202895)	(832716)	(3409890)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
კაპიტალის სხვა ცვლილებები				
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1167060	1705568	1610345

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 20 ნოემბერს
 შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
 დირექტორი ს. ხითარიშვილი

შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით			1610345	1610345
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			927939	927939
გაცემული დივიდენდი			(832716)	(832716)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			1705568	1705568
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			664387	664387
გაცემული დივიდენდი			(1202895)	(1202895)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			1167060	1167060

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 20 ნოემბერს
შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
დირექტორი ს. ხითარიშვილი



შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
 ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით			1610345	1610345
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			927939	927939
გაცემული დივიდენდი			(832716)	(832716)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			1705568	1705568
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			664387	664387
გაცემული დივიდენდი			(1202895)	(1202895)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			1167060	1167060

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 20 ნოემბერს
 შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808
 დირექტორი ს. ხითარიშვილი

შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა
და დამტკიცებაზე**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე.
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტის შესაბამისად.
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

შპს „ჯეომანგანუმი“ ს/კ 415591808

დირექტორი ს. ხითარიშვილი

ს. ხითარიშვილი



**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა
და დამტკიცებაზე**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე.
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტის შესაბამისად.
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შპს „ჯეომანგანუმი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2014 წლის 08 აპრილს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 415591808. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქიათურა, თორღვაშვილის ქ. N4.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელს წარმოადგენს:

სიმონ ხითარიშვილი პნ 54001014068 წილის 100%-ის მფლობელი.

კომპანიას საწესდებო კაპიტალი არ გააჩნია.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 12 თანამშრომელს.

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მანგანუმის ნედლი მადნის მოპოვებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული მომსახურება.

1.3 კომპანიას არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.4 კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

1.5 კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, რომელიც აქვეყნებს საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას გარე მომხმარებლებისათვის და არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

2.2 მსს ფასს-ის 35-ე მუხლის შესაბამისად კომპანია სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 01 იანვარს, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი. სტანდარტზე გადასვლის დღიდან ყველა ოპერაცია და მოვლენა ასახულია მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.3 ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს აქტივებს, რომელთა გადაცვლა ფულზე წინასწარ ცნობილი ოდენობით შესაძლებელია დაუბრკოლებლად და ამასთან, მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

2.4 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა-ქართული ლარი („ლარი“). ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები ასახულია მოცემულ თარიღში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშობა.

2.5 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც იქნა გაწეული.

2.6 მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების დანახარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2.7 საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.8 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგრას ექვემდებარება მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ასევე ხარჯები და სხვა განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისთვის არ მიეკუთვნება, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ან განაცემებს (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

2.9 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.10 გაცემული დივიდენდები კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური ოპერაციები.

2.11 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებების ბალანსში ასახულია ნარჩენი ღირებულებით (ცვეთის გამოკლებით).

ძირითადი საშუალებების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალების გაუფასურების ნიშანი. არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს ასახავს თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

2.10 შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როცა მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და შესაძლებელია საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით, როდესაც შესაძლებელია დანახარჯების თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით. კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლი ანგარიშგებაში ხარჯების ასახვის მომენტში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიას სჯერა, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწვდის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

2.11 საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციებში ასახული თანხით).

2.12 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია საშუალო შეწონილი.

მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში

სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშუალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში

2.13 რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როცა საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.14 სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადააგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ახსნა-განმარტებები

3.1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ახსნა განმარტებები

3.1.1 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

შენიშვნა 1

დასახელება	2021წ	2020წ	2019წ
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	76320	730859	727493
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	260221	45835	26296
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	336541	776694	753789

კომპანიას საბანკო ანგარიშები (მიმდინარე ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს ს.ს. „საქართველოს ბანკ“-ში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში და ასევე არ აქვს ანგარიშები არარეზიდენტ ბანკებში.

3.1.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 2

დასახელება	2021წ	2020წ	2019წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ერ. ვალუტაში	13435	9248	7868
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან უცხ. ვალუტაში	28631	94731	460234
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	42066	103979	468102

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას (მომსახურება (მანგანუმის ნედლი მადნის მოპოვება, გამდიდრება, მანგანუმის გადაზიდვა)) .

3.1.3 სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

შენიშვნა 3

დასახელება	2021წ	2020წ.	2019წ.
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	57599	225	3196
სულ სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	57599	225	3196

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები მოიცავს მომწოდებლებისათვის, მათ შორის მიღებულ საიჯარო მომსახურებაზე გადახდილ ავანსს.

3.1.4 მარაგები

შენიშვნა 4

დასახელება	2021წ	2020წ	2019წ
ნედლეული და მასალები	17687	2361	6800
დაუმთავრებელი მომსახურება	694366	907785	373048
სულ მარაგები	712053	910146	379848

ნედლეული და მასალები შედგება საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი და ტექნიკაში არსებული საწვავის ნაშთისგან. დაუმთავრებელი მომსახურება შედგება მიმდინარე მომსახურებაზე გაწეული დანახარჯებისგან.

3.1.5 ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 5

დასახელება	31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	31.12.2019
ძირითადი საშუალებები							
მიწის ნაკვეთები	177190	0	0	177190	0	0	177190
საბალანსო ღირებულება	177190			177190			177190

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითად საშუალებებს აფასებს თვითღირებულებით, ხოლო თავდაპირველი აღიარების შემდგომ - ყველა ძირითადი საშუალების თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით მიღებული თანხებით. მიწის ნაკვეთებს ცვეთა არ ერიცხება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელობაშია მიწის ნაკვეთები ჭიათურის მუნიციპალიტეტში. მიწის ნაკვეთების გარდა სხვა გრძელვადიანი აქტივები კომპანიას არ გააჩნია.

3.1.6 საიჯარო ვალდებულებები

დასახელება	2021წ	2020წ.	2019წ
საიჯარო ვალდებულებები	-	197361	53251
სულ საიჯარო ვალდებულებები	-	197361	53251

ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის კომპანია იჯარით იღებს მძიმე ტექნიკასა და სატვირთო ავტომობილებს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მიღებული საიჯარო მომსახურებიდან ვალდებულება არ გააჩნია.

3.1.7 სავაჭრო ვალდებულებები

შენიშვნა 6

დასახელება	2021წ	2020წ.	2019წ.
სავაჭრო ვალდებულებები	16390	37572	13662
სულ სავაჭრო ვალდებულებები	16390	37572	13662

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან (მომსახურება - მანგანუმის ნედლი მადნის მოპოვება - გადამუშავება) და წარმოშობილია შეძენილი ნედლეულისა და მასალების, ძირითადად საწვავის შეძენიდან. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულება საწვავის შეძენიდან შეადგენს 16390 ლარს.

3.1.8 ანარიცხები

დასახელება	2021წ	2020წ.	2019წ.
ანარიცხები	107275	-	-
სულ ანარიცხები	107275	-	-

ანარიცხები უკავშირდება კომპანიაში მიმდინარე საგადასახადო შემოწმებას, რომლის საბოლოო შედეგი ცნობილი არ არის. ვინაიდან ეს მოვლენა გავლენას ახდენს 2021 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე, ასევე გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას, კომპანიამ შექმნა ანარიცხი 107275 ლარის ოდენობით.

3.1.9 სხვა ვალდებულებები

შენიშვნა 7

დასახელება	2021წ	2020წ.	2019წ.
სხვა ვალდებულებები	17962	8190	35118
სულ სხვა ვალდებულებები	17962	8190	35118

კომპანიის სხვა ვალდებულებები უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას და მოიცავს მანგანუმის ნედლეულის ქიმიური სინჯისა და ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულებას.

3.2 საქმიანობის შედეგების შესახებ ახსნა-განმარტება

3.2.1 ამონაგები

შენიშვნა 1

დასახელება	2021წ	2020წ	2019წ
ამონაგები რეალიზაციიდან (მანგანუმის მოპოვება-გამდიდრების მომსახურების გაწევიდან)	2962325	2269245	7527163
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	31378	40643	13085
სულ ამონაგები მომსახურების გაწევიდან	2993703	2309888	7540248

ამონაგები მომსახურების გაწევიდან უკავშირდება კომპანიის ძირითად საქმიანობას და შედეგა მანგანუმის მადნის მოპოვებისა და გამდიდრების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლისგან. ამონაგები სხვა მომსახურებიდან მოიცავს მანგანუმის გადაზიდვის მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებს.

3.2.2 გაყიდვების თვითღირებულება

შენიშვნა 2

	2021	2020	2019
დასახელება			
საწვავის ხარჯი	292929	141965	245654
ტექნიკის იჯარის ხარჯი	1088111	484248	876247
ტრანსპორტირების ხარჯი	86463	67505	199815
ხელფასის ხარჯი	190334	105025	174255
მანგანუმის გამდიდრების ხარჯი	286784	308212	913636
სხვა ხარჯი	35790	19618	10009
სულ გაყიდვების თვითღირებულება	1980411	1126573	2419616

გაყიდვების თვითღირებულება შედგება მადნის მოპოვებასთან, გამდიდრებასთან და გადაზიდვასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯებისგან.

3.2.3 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

შენიშვნა 4

	2021	2020	2019
დასახელება			
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურების ხარჯი	102721	86685	122963
საპენსიო შენატანი	3908	4899	5463
საგადასახადო ხარჯი	1758	3096	3442
ბანკის საკომისიო	445	1005	9544
სხვა ხარჯები	751		313
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	109583	95685	141725

კომპანიის ადმინისტრაცია მოიცავს 6 თანამშრომელს. ადმინისტრაციული ხარჯები შედგება ადმინისტრაციის ხელფასის ხარჯებისგან, ასევე საპენსიო შენატანის, მიწის ქონების გადასახადის, ბანკის საკომისიო და სხვა ხარჯებისაგან.

3.2.4 წმინდა შემოსულობა / დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

შენიშვნა 5

დასახელება	2021წ	2020წ.	2019წ
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან	3266	66740	87403
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	-	-	(1075)
სულ მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	3266	66740	86328

3.2.5 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

შენიშვნა 6

დასახელება	2021წ.	2020წ.	2019წ.
განსაკუთრებული შემოსავლები	4575	7288	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(118479)	(86769)	(69735)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(113904)	(79481)	(69735)

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი წარმოშობილია covid 19- თან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის შეღავათისგან. სხვა არასაოპერაციო ხარჯები შედგება ფინანსური დახმარებისა და ისეთი ხარჯებისაგან რომელიც არაა დაკავშირებული კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.

3.2.6 ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

საკრედიტო რისკი: შესაძლებელია, რომ დამკვეთი მთლიანად არ გადაიხდის შესრულებული სამუშაოს საფასურს ან ნაწილს არ გადაიხდის დროულად, რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიის ზარალს.

სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს, რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ცვლილების რისკს.

3.2.7 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

2021 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე მოხდა კომპანიის საგადასახადო შემოწმება, რომელიც უკავშირდება, ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდს, და გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებზე, ვინაიდან ეს მოვლენა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას, კომპანიამ შექმნა ანარიცხი. ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის შემოწმების საბოლოო შედეგი ცნობილი არ არის.